

ა(ა) იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

(საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2022 წლის იანვარ-ნოემბერის თვეებს)

ა(ა) იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით, სხვა სამართლებრივი აქტებითა და ამავე სამსახურის წესდებით.

მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის მიზანია: ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა, ხელმძღვანელ პირებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოების ინფორმირება.

ზემოთ აღნიშნული მიზნების ეფექტურად განხორციელების მიზნით, ცენტრის თანამშრომლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს. კანონიერება, სამართლიანობა, საჯაროობა, ობიექტურობა-ეს ის ძირითადი პრინციპებია, რითაც ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ ცენტრში დასაქმებულები.

სისტემატურად ვმართავთ შეხვედრებს, მჭიდრო კომუნიკაცია გვაქვს მოსახლეობასთან. ადგილზე ვეცნობით ყველა პრობლემას და შემდგომი რეაგირებისთვის ვიხილავთ შესაბამის სამსახურებთან. მიმდინარე წელს უშუალოდ ა(ა) იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოეწყო 12 შეხვედრა, ადგილზე გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში აღმოიფხვრა.

პერიოდულად ბეჭდვითი გამოცემით ვახორციელებთ ადგილობრივების ინფორმირებულობას. ჩვენი სამსახური გამოსცემს გაზეთ „ახალ

ხარაგაულს“, რომელშიც სისტემატურად თავსდება ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და განსახორციელებელი აქტივობების შესახებ, მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური პროგრამების შესახებ. გაზეთში ასევე იბეჭდება ხარაგაულის მერისა და მერიის სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშები, საკრებულოს დეპუტატების ინიციატივები, აქტივობები და კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებათა ამსახველი კორესპონდენციები. გაზეთის ტირაჟი 2000-ია, რომელიც იბეჭდება შპს „კოლორ პრესში“ და უფასოდ რიგდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. შეიძლება ითქვას, რომ „ახალი ხარაგაული“ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საინფორმაციო საშუალებაა.

ა(ა)იპ-ში სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამის ფარგლებში, 18 სოციალურად დაუცველი პირი, გაზეთის გამავრცელებლად დასაქმდნენ. სამსახური მათ რესურსს საკმაოდ პროდუქტიულად იყენებს და ამ მიმართულებით კადრების აუცილებლობა ნამდვილად გვექონდა. ეს ადამიანები დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს პირნათლად ასრულებენ და სწორედ მათი აქტიური მუშაობის შედეგად, გაზეთზე მოთხოვნა გაიზარდა. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში გაზეთი გაცილებით მეტ მოქალაქეს მიეწოდება, ვიდრე გასულ წელს. სწორედ ამიტომ, 500 ეგზემპლარით მოხდა ტირაჟის გაზრდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის, კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. ცხელი ხაზის მეშვეობით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, დროულად და ეფექტურად დაამყარონ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან კომუნიკაცია და უმოკლეს დროში მოიპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. ცხელი ხაზი საკმაოდ დატვირთვით მუშაობს და დღის განმავლობაში ბევრი ზარი შემოდის. ძირითადად რეკავენ ის ადამიანები, რომლებსაც კონკრეტული პრობლემები აქვთ და სურთ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე დაზუსტებული პასუხების მიღება. დიდი მომართვიანობაა ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, უძრავი ქონებისა და მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებულ საკითხებზე. შემოდის

ასევე სხვადასხვა შინაარსის კითხვები, რომელთა გადამისამართება ხდება შესაბამის სამსახურებთან. ცხელ ხაზზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, განკუთვნილი სამუშაო გრაფიკი არ გვაქვს. დაახლოებით საანგარიშო პერიოდში შემოსულია 1000-ამდე ზარი. ყველა მათგანზე მოხდა შესაბამისი რეაგირება და არაერთ ადამიანს გაეწია დახმარება.

მნიშვნელოვანია, რომ ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან და ერთობლივი ძალებით მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება. ჩვენი ორგანიზებით ხარაგაულში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები უფასოდ გადაეცემათ. ცენტრის წარმომადგენლები საცნოვრებელ სახლებში მისვლით პირადად უზრუნველყოფენ თითოეული პირისათვის ზომების აღებასა და შესაბამისი კითხვარების შევსებას. თანამედროვე და კომფორტული ეტლები ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით იმ პირებს ურიგდებათ, ვისაც ან საერთოდ არ ჰქონდა ეტლი, ან დაზიანებული აქვს. ინფორმაციისათვის: მიმდინარე წელს აღნიშნულ აქციაში 20 ბენეფიციარი ჩაერთო. წლის ბოლომდე ველოდებით ეტლების ახალ პარტიას და დამატებით 8 ბენეფიციარი კიდევ დაკმაყოფილება.

საანგარიშო პერიოდში ჩვენი სამსახურის ძალისხმევითა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქვეყნის მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ხელშეწყობით, მუნიციპალიტეტში განხორციელდა სოციალური აქცია. კერძოდ, უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცათ ახალი ტანსაცმელი. აქციაში მუნიციპალიტეტის თითქმის ადმინისტრაციულ ერთეული ჩაერთო.

ჩვენმა სამსახურმა, მუნიციპალიტეტის მერის ბ-ნ კობა ლურსმანაშვილის დავალებით, იმუშავა საპროექტო განაცხადზე, რომლის ფარგლებშიც ხარაგაულის მერიამ 61 864 დოლარის გრანტი მიიღო. დაფინანსება იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამის ფარგლებში მოვიპოვეთ და აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტი ახალი ექსკავატორ-დამტვირთველს (JCB ტრაქტორი) შეიძენს.

საამაყო, რომ დაფინანსება საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში მივიღეთ. საპროექტო განაცხადი 95 ორგანიზაციას ჰქონდა წარდგენილი და ხარაგაული საუკეთესო სამუღში მოხვდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ხარაგაულის მერიას გრანტი არასდროს მიუღია და პირველად სწორედ ჩვენი სამსახურის ორგანიზებით საკმაოდ სოლიდური თანხების მობილიზება მოხდა.

საანგარიშო პერიოდში მოვამზადეთ ხარაგაულის მერიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ათწლიანი ანგარიში. ანგარიში გამოიცა ჟურნალის სახით და უახლოეს პერიოდში გაიმართება მისი პრეზენტაცია. მოგახსენებთ, რომ მსგავსი პრეცედენტი, რომელიმე მუნიციპალიტეტს ათწლიანი საქმიანობის შესახებ ანგარიში გაეკეთებინოს არ არსებობს. ხარაგაული არის პირველი, რომელიც მოსახლეობას დეტალურად გააცნობს, თუ არ გაკეთდა ათი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში. ჟურნალში ასახულია ყველა ის ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლებიც მუნიციპალიტეტში ამ წლების განმავლობაში განხორციელდა, ასევე განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსებულ სოციალურ პროგრამებზე, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ მიმართულებებზე.

ჩვენი სამსახურის მიერ მომზადდა განაცხადი 2022 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. წარვადგინეთ ორი საპროექტო განაცხადი და პასუხს ველოდებით 20 დეკემბრისთვის. როგორც მოგეხსენებათ, ხარაგაული უკვე ორჯერ გახდა საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტი და იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე წელსაც, ჯილდოს კიდევ ერთხელ მოვიპოვებთ.

რაც შეეხება ა(ა) იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტს, დღეის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 76 800 ლარს. აქედან შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 39 645 ლარი, მივლინების ხარჯი შეადგენს 855 ლარს, საკანცელარიო ხარჯი-1210 ლარს, კავშირგამბულობის ხარჯი-2090 ლარს, კატრიჯების შეძენა-დატუმბვის ხარჯი- 190 ლარს, კომპიუტერის შეძენა -1800 ლარი, ბეჭდვითი მომსახურება- 9550 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 5700 ლარი.

ა(ა) იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და
ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის დირექტორი: ეკა შავიძე